თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის
ო ქ მ ი № 2

ქ. თელავი

25 იანვარი 2019 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 27 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე — მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე — ალექსი ძულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე — არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	გიორგი ჩაბრაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მუსაევი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ბესიკი ქოჩიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიგა მამუკელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გუგა გურაბანიძე;**
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო აფციაური;**
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი;**
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ზაქაიძე;**
ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ვახტანგ გაგნიძე;**
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები - **ნიკა სახიაშვილი, მთვარისა სოლომნიშვილი;**
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **მაია ჯღუთაშვილი;**
თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები;
მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

გ.თავბერიძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს სურვილი აქვს ისარგებლოს შვებულებით 2019 წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით, რაც საკრებულომ უნდა მიიღოს ცნობად, მან ასევე აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრება საკრებულოს წევრი ნ.ხვისტანი და მის მიერ სხდომაზე გამოსატან საკითხებს წარმოადგენს აპარატის უფროსი ტ.გალახვარიძე.

თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოითხოვეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ თავიაანთი ინიციატივის გაჟღერების უფლება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით **სხდომის თავმჯდომარემ** საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

   მომხს.გ.თავბერიძე
   12.20სთ-დან - 12.40 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს.გ.თავბერიძე
   12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს.გ.თავბერიძე
   12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00სთ-დან -13.20 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.20სთ-დან - 13.30 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

13.30სთ-დან - 13.40 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

მომხს. ნ.აფციაური

13.40სთ-დან - 13.50 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი

13.50სთ-დან - 14.00 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვ.გაგნიძე

14.00სთ-დან -14.10 სთ-მდე

10. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე

14.10სთ-დან -14.20 სთ-მდე

11. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე

14.20სთ-დან -14.30 სთ-მდე

12. „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე

14.30სთ-დან -14.40 სთ-მდე

13. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.ზაქაიძე

14.40სთ-დან -14.50 სთ-მდე

14. საკრებულოს თავმჯდომარის არჩილი თხლაშიძის შვებულების შესახებ.

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა** დასვა კითხვები წინა წლის დავალიანებების გასასტუმრებლად საჭირო თანხებზე, გ.ჩოხელის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაების პროექტის შესყიდვის და მერიისათვის ფოტოაპარატის შესყიდვის შესახებ.

აღნიშნულ შეკითხვებზე განმარტებები გააკეთეს მომხსენებელმა, **ნ.აფციაურმა და ნ.ბაჩიაშვილმა.**

ნ.ვაყელიშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის აუცილებელია გამოიყოს 40 000 ლარი, რომელიც განკუთვნილი იქნება „შიცი“-ს, „C ჰეპატიტი“-ს, „ტუბერკულიოზი“-ს დაავადებების გამოსაკვლევად.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის (18 წლის ზევით) ჩატარდეს სხვადასხვა დაავადებების სკრინინგი, რათა შემდგომ ბენეფიციარებმა შეძლონ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 (ოცდაოთხი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 03 (სამი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე
12.20სთ-დან - 12.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა, დ.ღაღანიძემ**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) **წევრმა: ზ.გრიშიკაშვილმა, ა.ძულიაშვილმა.**

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახდის შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე

12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 02(ორი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის №39 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, პირობებით აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, მონაწილის ბილეთისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.გ.თავბერიძე

12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 (ოცდაოთხი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03(სამი) წევრმა: **ზ.გრიშიკაშვილმა, ა.ძულიაშვილმა, ა.მახარიაშვილმა.**

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00სთ-დან -13.20 სთ-მდე

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს.გ.თავბერიძე

13.20სთ-დან - 13.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ზ.მუსაევი**

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი

13.30სთ-დან - 13.40 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26 (ოცდაექვსი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 01(ერთი) წევრმა: **ა.მახარიაშვილმა.**

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

მომხს. ნ.აფციაური

13.40სთ-დან - 13.50 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.ორკოდაშვილმა** აღნიშნა, რომ აქტიურად დაიწყო სოფლის პროგრამები, ამიტომ კარგი იქნება თუ ხელშეკრულებით დასაქმებულთა ზღვრულ ოდენობას გავზრდით 17%-მდე და ყველა სოფელში დაემატება თანამშრომელი სადაც ამის საჭიროება არსებობს.

გ.მამუკელაშვილმა და ლ.ლილუაშვილმა აღნიშნეს რომ საკრებულოს ესაჭიროება თანამშრომელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის, ამიტომ 17%-მდე გაზრდა მიზანშეწონილია.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 (ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, წინააღმდეგი** - 02(ორი) წევრი **ლ.მენთეშაშვილი, ზ.ნაცარაშვილი.**

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი

13.50სთ-დან - 14.00 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.მამუკელაშვილმა, ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ შესაბამისმა სამსახურმა საკმაოდ ნათლად წარმოადგინა პროექტი და კომისიას შენიშვნები არ გააჩნია.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 (ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05 (ხუთი) წევრმა: **ზ.გრიშიკაშვილმა, ა.ძულიაშვილმა, ა.მახარიაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა, ზ.ნაცარაშვილმა.**

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვ.გაგნიძე

14.00სთ-დან - 14.10 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღნიძემ, ზ.მუსაევმა** აღნიშნეს, რომ ძგლთ დაცვის ღონისძიებები საკმაოდ აქტუალურია და სამომავლოდ კარგი იქნება თუ შევძლებთ დაფინანსების გაზრდას.

ზ.ნაცარაშვილმა დასვა კითხვა ავარიული ძეგლების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

10.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.10სთ-დან -14.20 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

11.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გლახვარიძე
14.20სთ-დან -14.30 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

12.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე
14.30სთ-დან -14.40 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

13.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ.ზაქაიძე
14.40სთ-დან -14.50 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **დ.ღაღანიძემ, ზ.ნაცარაშვილმა**

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

14.მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის არჩილი თხლაშიძის შვებულების შესახებ.

გადაწყვიტეს:
1. მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შვებულება მიღებულ იქნეს ცნობად.

2. თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსლების განხორციელება დაევალოს

15.მოისმინეს: „სხვადასხვა“

თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ქ.თელავში ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მოსაცდელის მოწყობასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებელია მოეწყოს მოსაცდელი, რადგან ცუდ ამინდში სტუდენტებს და მოსახლეობას აქვს ძალიან დიდი პრობლემები. მათ მიერ აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შეტანილია შესაბამისი განცხადება.

საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი იქნა სტუდენტების ინიციატივა და აღუთქვეს პრეზენტაციის ავტორებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიგა ორკოდაშვილი